MES 2 23 0001747184

21/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრ ები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმო მადგენლები:

ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:
სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა:
ნინო ლომსაძე- დირექტორი
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა:
ლიანა ჯალალი- დირექტორი
სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლა:
თამარ წიწილაშვილი- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა:
ლელა დარძული- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლა:
მაია კოპალიანი- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლა:
ნანა თვალიაშვილი- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა:
ზურაბ ლომიძე- დირექტორი
სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის N94 საჯარო სკოლა:
ნინო გახარია- დირექტორი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა:
გივი ხალვაში- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - სულხან საბა ორბელიანის სხელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა:
ირმა წაქაძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში ექსპერტებ ი):

სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლა:
ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ელისო შურღაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე კურდღელია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა ბაგალიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა:
ა) ია სოხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნანა გიორგობიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეთერ ბოკელავაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიამი ჩიკვაიძე-კეჭაყმაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თინათინ გიორგაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლა:
ა) თამარ კვანტიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გოჩა შუბითიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა დუგლაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ე) მარინა თავართქილაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა:
ა) ირმა ხმელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ვერა მღებრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნელი ნაოჭაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლა:
ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ფარნაოზ იორდანიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა გეგეშიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლა:
ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო კაშია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თინათინ ნანობაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ელენე ხუსკივაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სერგო დურგლიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა:
ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) გიორგი მოდებაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ბერიანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანჟელა აბულაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) სვეტა გორგიშელი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლა:
ა) თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო უგრეხელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
ზ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის №8 საჯარო სკოლა:

ა) თამთა კობახიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) როლანდ შავაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაირა მამუკელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა:
ა) სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ფარნაოზ იორდანიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ელენე მიდელაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარი კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 08 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფერში. მისი განცხადებით, სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო

პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 100 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასებული იყო „მეტწილად“.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ინდიკატორებთან დაკავშირებით, რომლებიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურაზე. მან აღნიშნა, რომ სკოლა 2021 წელს სრულად რეაბილიტირდა და გარდა ამისა, შექმნილი იყო ინკლუზიური გარემო. სკოლაში იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი და ბიბლიოთეკა.
მოსწავლეთა მხარდაჭერასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სხვადასხვა მიმართულებით შექმნილი იყო მოსწავლეთა წრეები, კერძოდ, მხატვრული კითხვის; ინგლისური ენის; მათემატიკის, ხელოვნებისა და მუსიკის წრეები; ასევე აქტიურად ხორციელდებოდა ინგლისური ენის კლუბის „LET’S SPEAK ENGLISH“ მიერ განხორციელებული აქტივობები.
საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას მოპოვებული მდგრადობის დასკვნა და რა ვითარება იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის ამწოვი კარადით აღჭურვის მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა ნინო ლომსაძემ განმარტა, რომ ექსპერტები იყვნენ შემოწმებაზე და სკოლა ელოდებოდა შენობა-ნაგებობის შესახებ დასკვნას, ხოლო ამოწოვი კარადის დაყენებას სკოლა საკუთარი ძალებით აპირებდა.
საბჭოს წევრი მაკა მამფორია დაინტერესდა, გეგმავდა თუ არა სკოლა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანას.
სკოლის დირექტორმა ნინო ლომსაძემ აღნიშნა, რომ იგეგმებოდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - **0**

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხაშურის

მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფრის საჯარო სკოლას (ს/კ: 243880804) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქემფერი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქემფერი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი სოფელი ქემფერი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარდგენა.

2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია სოხაძემ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში.

სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის. ექსპერტმა, ია სოხაძემ განმარტა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმები) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, კომპონენტები 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები); 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) და 2.2 (კურიკულუმების განხორციელება- დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) კი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.6 (საინფორმაციო რესურსები) კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. მე-4 სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მხირდან შეფასებული იყო როგორ „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ია სოხაძემ ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლა გახლდათ ახლადრეაბილიტირებული და სრულად ადაპტირებული ინკლუზიური გარემოს ხელშეწყობისთვის, ასევე, სკოლას ჰქონდა ცალკე შენობაში განთავსებული სპორტული დარბაზი, რომელიც იყო სრულად ადაპტირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამდენად შეეძლოთ იმ რეკომენდაციებისა და რჩევების სისრულეში მოყვანა, რომლებიც ფიქსირდებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

სკოლის დირექტორმა, ლიანა ჯაყელმა განმარტა, რომ სრულად ეთანხმებოდა ექსპერტთა მიერ გამოვლენილ ხარვეზებს და იმ მიმართულების გამოსწორებისათვის, რომლებზეც გაცემული იყო რეკომენდაციები და რჩევები, სასკოლო საზოგადოებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, ხოლო ნაწილი რეკომენდაციებისა სკოლას უკვე შესრულებული ჰქონდა, კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდის გააქტიურება, შესწორებული იქნა სამსახურში მიღების წესი. რაც შეეხებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისა და უსაფრთხოების კამერების მონტაჟს, სკოლას გაგზავნილი ჰქონდა წერილი ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში და ელოდებოდა პასუხს.

საბჭოს წევრი პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, როგორ ზრუნავდა სკოლა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე.

სკოლის დირექტორმა, ლიანა ჯაყელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლები აკეთებდნენ თვითშეფასებას და დირექციის მხრიდან ხდებოდა უკუკავშირის მიწოდება, გარდა ამისა, ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეები.

საბჭოს წევრი შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, აისახებოდა თუ არა სკოლის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მათ სასკოლო კურიკულუმებში.

სკოლის ისტორიის მასწავლებელმა განმარტა, რომ არსებული რესურსები სკოლას სრულად ათვისებული ჰქონდა და მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ყველა პროექტში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით ხორციელდებოდა.

საზოგადოებრივი მეცნიერების ექსპერტმა, ეთერ ბოკელავაძემ განმარტა, რომ სკოლა სრულად ითვისებდა კულტურული მემკვიდრეობის მოცემულობებს და მასწავლებელთა მხრიდან წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, პირველ სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რა ეტაპზე იყო სკოლა. ასევე ჰქონდა თუ არა სკოლას შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნები.
სკოლის დირექტორმა, ლიანა ჯაყელმა განმარტა, რომ სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით დოკუმენტებზე მუშაობა დასრულებულიიყო, კერძოდდამტკიცდა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და ახლო მომავალში აღნიშნული განთავსებოდა სკოლის ვებ-გვერდზე; მოპოვებულ იქნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და სკოლა ელოდებოდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - **0**
გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლას (ს/კ: 232550655) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	კასპის მუნიციპალიტეტი სოფელი ხოვლე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3.3, 3.4 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის პირველ დეკემბრამდე, კერძოდ, პერსონალის შესარჩევი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამსახურში მიღების მექანიზმის და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალის, მასწავლებლების ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, ასევე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის შერჩევის , განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის. 3.4 ინდიკატორთან დაკავშირებული დოკუმენტაციის: ვიდეო სათვალთვალო კამერების მონტაჟის; შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, საგანგებო შტაბის შექმნის და ვებ - გვერდზე და ინდიკატორით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსების დამადატურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.

3. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ კვანტიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 140 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 140 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თამარ კვანტიძემ განმარტა, რომ 1-ლი, მე-2 და მე-4 სტანდარტები შეფასდ, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მეოტხე სტანდარტის 4.2 კომპონენტი (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) შეფასებული იყო „მეტწილად“. რაც შეეხებოდა მე-3 სტანდარტს, შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, მისი 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 კომპონენტები (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) ასევე შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ახლადრეაბილიტირებული იყო. აღნიშნულ შენობაში სწავლა 2021 წლის სექტემბერში იყო განახლებული. ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში იყო სრულად ადაპტირებული გარემო.
საბჭოს თავმდჯომარე დავით მალაზონია დაინტერესდა, ვიზიტის პერიოდში გააუმჯობესა თუ არა სკოლამ კურიკულუმები და რა ეტაპზე იყო სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნა.
ექსპერტმა თამარ კვანტიძემ დაადასტურა, რომ სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა კურიკულუმები.
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ წიწილაშვილმა შენობის მდგრადობის დასკვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას მიწერილობა ჰქონდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსთან და ელოდებოდნენ ექსპერტებს. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, კი მან განაცხადა, რომ სკოლას ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადაგზავნილი ჰქონდა დასკვნა, თუმცა აღნიშნულ დასკვნაში სკოლას ჰქონდა ხარვეზები და აღმოსაფხვრელად დაწყებული იყო გარკვეული სახის სამუშაოები.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, გამოყო თუ არა სკოლამ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის სივრცე ცალკე.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამარ წიწილაშვილმა განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სივრცის გამოყოფაზე ზრუნვა დაწყებული იყო და კარადები უკვე განცალკევდა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 11
წინააღმდეგი - **0**

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხის საჯარო სკოლას (ს/კ: 243572576) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა განესაზღვროს 140- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი კიცხი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, შნეობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნების მოპოვება და ცენტრში წარდგენა.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი შემოუერთდა სხდომას 17:18 საათზე.

4. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ირმა ხმელიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო

ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო ქედში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 130 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 101 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1(პერსონალის მართვა)3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება), 3.5(მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა), 3.6 (საინფორმაციო რესურსები),3.7(ფინანსური რესურსები) და 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ირინა ხმელიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელებისაღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა, ირინა ხმელიძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა „ბიოსფერული რეზერვაციის" სტატუსის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც გამორჩეული იყო არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნებით, ასევე აგრომრავალფეროვნებითაც. ექსპერტის განცხადებით, სკოლის მოსწავლეების მიერ ხშირად ხორციელდებოდა ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები. ექსპერტის განცხადებით, სკოლა ზრუნავდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხზე და აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიულ კოლეჯებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის ვებ- გვერდზედა აღნიშნა, რომ საიტზე ასახული ინფორმაცია არ იყო სრულყოფილი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ სკოლა მოცემული დროისთვის იყო მუშაობის პროცესში და არ ჰქონდა ვებ- გვერდზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის განთავსება დასრულებული. ექსპერტებისგან მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ისინი უახლოეს მომავალში გეგმავდნენ ვებ- გვერდზე ინფორმაციის სრულყოფილი სახით განთავსებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით ბოლოს როდის და ვის მიერ მოხდა სკოლაში სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა განაცხადა, რომ სკოლაში სრული რეაბილიტაცია განხორციელებული იყო რამდენიმე ათეული წლის წინ. ბოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები სკოლაში განხორციელებული იყო დაახლოებით 10 წლის წინ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა სრულყოფილად გაეწერათ სტრუქტურა და ნათლად წარმოეჩინათ სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, თუ ვინ ვის წინაშე იყო ანგარიშვალდებული.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რატომ არ მოხდა სკოლაში ექიმის ოთახთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრა. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ ექიმის ოთახში მნიშვნელოვანი იყო ყოფილიყო სველი წერტილი და იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოხდა სკოლაში შესაბამისი სივრცის მოძიება, სკოლამ ვერ შეძლო აღნიშნული პრობლემის დროულად აღმოფხვრა. მისი

განცხადებით, დაგეგმილი იყო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულების შემდეგ სკოლას აღნიშნული პრობლემა აღარ ექნებოდა.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ტექნოლოგიების საგნობრივ ექსპერტს მიმართა თხოვნით გაეზიარებინა მისი მოსაზრება, როგორ შეიძლებოდა სკოლაში ტექნოლგიებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა, საგაკვეთილო პროცესების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით. ტექნოლოგიების საგნობრივმა ექსპერტმა, მეგი კაპანაძემ აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს ჰქონდა კომპიუტერები, რომლების დახმარებითაც ხდებოდა საგაკვეთილო პროცესების წარმართვა. სკოლაში პრობლემას წარმოადგენდა ინტერნეტის სიხშირე, თუმცა გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ინტერნეტის გაზიარება ხდებოდა მასწავლებლის პირადი მობილური ტელეფონიდან.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ სკოლას მოცემული დროისთვის ჰქონდა 29 ახალი კომპიუტერი, შესაბამისად, სკოლაში ტექნოლოგიური პრობლემები უკვე აღმოფხვრილი იყო.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლას მოცემული დროისთვის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის აღნიშნული ხარვეზი უკვე აღმოფხვრილი იყო და სკოლას მშობლებთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა ყურადღება გაამახვილა მეოთხე სტანდარტზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, თუ ხდებოდა სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება. ლელა დარძულმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად ხდებოდა მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება. მისი განცხადებით, ბოლო დროს, სკოლის მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელდა პროექტი „რა? სად? როდის?“, რომელსაც სკოლამ საწყის ეტაპზევე დაუჭირა მხარი და შეიძინა მონაწილეთა საპრიზო საჩუქრები.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1
საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, , მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის

შესაბამისად, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლას (ს/კ : 228540451) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ქედი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 სტანდარტი (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები)

საბჭომ 3.1, 3.4, 3.5, 3.6, 3.7 და 4.1 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის დეკემბრამდე, კერძოდ უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სკოლის ექიმის კაბინეტის მოწყობის, შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვის და მოწყობის, ინკლუზიური გარემოს, ძველი კომპიუტერული ტექნიკის განახლების და მისი რაოდენობის სკოლის საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის, ისტ ინფრასტრუქტურის მოწყობის, სკოლის ვებ- გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის სრულყოფილად განთავსების, სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტის, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მშობლებთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან ზოგადი განათლების შესახებ კანონით დადგენილი წესით გაფორმებული ხელშეკრულებების დამდასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.

5. სსიპ - ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი- მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი მე- 4 კვარტალში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1500 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი), მე-3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 სტანდარტები (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი- მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის უფასო წრეები და ჩამოყალიბებული იყო კლუბები, რომლის ფარგლებშიც აქტიურად ხორციელდებოდა ღონისძიებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და სკოლას მისცა რეკომენდაცია, მოსწავლეებისთვის შეემუშავებინათ მეტად მრავალფეროვანი დავალებები, რომლებიც მოსწავლეებში განავითარებდა შემოქმედებით უნარებს.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა სკოლის ექიმს მოცემული დროისთვის ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი განახლებული სერტიფიკატი. ექსპერტმა ელისო ლოლაშილი- მერებაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის ექიმს არ წარმოუდგენია კვალიფიკაციის დამადასტურებელი განახლებული სერტიფიკატი.
სკოლის დირექტორმა, მაია კოპალიანმა აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი სკოლისთვის იყო მნიშვნელოვანი. მისი განცხადებით, სკოლა მუდმივად ორიენტირებული იყო განვითარებაზე და სასწავლო პროცესების გაუმჯობესებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლას მისცა რეკომენდაცია საგანთა შორის ინტეგრაციის მიზნით აქტიურად გამოეყენებინათ კომპლექსური დავალებები.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლას (ს/კ : 202055694) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი მე - 4 კვარტალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი მე - 4 კვარტალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი მე - 4 კვარტალი

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ: სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ცენტრში წარდგენა, ასევე ადაპტირებული გარემოს მოწყობა და აღნიშულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ცენტრში.

6. სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თელავში, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1050 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) და მე-4 სტანდარტები (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-3 სტანდარტი (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა რაინდი როდონაიამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა განსხვავებული და საინტერესო ისტორია. ექსპერტის განცხადებით, სკოლა გერმანიაში გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით, გერმანული ენის გაძლიერებული სწავლებით 1990 წელს გაიხსნა. სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ გერმანული ენის დამადასტურებელი დიპლომი, რომელიც მათ მისცემდათ შესაძლებლობას ესწავლათ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა გაცვლით პროგრამებს, როგორც გერმანიის, ისე ავსტრიის სკოლებთან. სკოლას ჰქონდა თანამშრომლობა იენის უნივერსიტეტთან, ქალაქ ბიბერახის სასწავლო დაწესებულებებში და ავსტრიის ქალაქ გრაცის სკოლებში.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, სადაც ავსტრიის საელჩოს მიერ მოწყობილი იყო ავსტრიული კუთხე, რომლის გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურით მომარაგებასაც თავად საელჩო უზრუნველყოფდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელოვნების კურიკულუმზე და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა გაეზიარებინა საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ კურიკულუმთან და კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებთან დაკავშირებით. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, თამარ წულუკიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა კვალიფიციური მასწავლებლები, როგორც მუსიკის, ისე ხელოვნების მიმართულებით. ექსპერტის განცხადებით, კურიკულუმებში წარმოდგენილი დავალებები მოსწავლეებს აძლევდა შესაძლებლობას, მათი

შესაძლებლობებიდან და უნარებიდან გამომდინარე აერჩიათ, რა სახით წარმოადგენდნენ ამა თუ იმ დავალებას. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო კომპლექსურ დავალებებში მოცემული საკითხები ორიენტირებული ყოფილიყო მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებაზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშილმა სკოლას მისცა რეკომენდაცია მისიასა და ხედვაში ნათლად წარმოეჩინა ის განმასხვავებელი და განსაკუთრებული საკითხები, რაც სკოლას გამოარჩევდა არა მხოლოდ თელავის, არამედ სრულიად საქართველოს სკოლებისგან.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ ექსპერტს მიმართა კითხვით, კონკრეტულად რას გულისხმობდა, როდესაც მან პრეზენტაციის დროს აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა გარკვეული პრობლემები სეისმომედეგობასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ განმარტა, რომ სკოლის შენობა სეისმომედეგობის ნორმებთან იყო შეუსაბამო. შენობა საჭიროებდა გამაგრებით სამუშაოებს, რაც მოითხოვდა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს. საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რას გეგმავდა აღნიშნულთან დაკავშირებით, ან ჰქონდა თუ არა სკოლას გადადგმული ქმედებითი ნაბიჯები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნანა თვალიაშვილმააღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელებული იყო 2017 წელს. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ დასკვნის შესაბამისად, სკოლა საჭიროებდა და გეგმავდა გარკვეული გასამაგრებელი სამუშაოების განხორციელებას.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და აღნიშნა, რომ კურიკულუმების დიზაინი საჭიროებდა დახვეწას და განვითარებას. მანმიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1050-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 3
საბჭოს სამმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სკოლის ავტორიზაციის საკითხს. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში უფიქსირდებოდა გარკვეული შეუსაბამობები, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს სამი წევრი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27- ე მუხლის მე- 4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლას (ს/კ: 231250507) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1050- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

		საფეხური		ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები : მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი)

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ: შენობის უსაფრთხოებისა და კონსტრუქციული მდგრადობის და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, დასაქმებულთა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩადენისთვის ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების ცენტრში წარდგენა.

7. სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა, განაცხადა რომ სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 120 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.
ზაზა ჭანტურიას განცხადებით, 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (პროცესების მართვა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მე-2 სტანდარტის (სასკოლო კურიკულუმი) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, შეფასდა შესაბამისად, თუმცა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხური ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა როგორც „მეტწილად“ შესაბამისი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და აღნიშნა რომ იგი შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ნიკო ნიკოლაძის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლას (ს/კ:

243876025) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლევი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ფლევი

საბჭომ 3.4 და 2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, შენობის ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღჭურვის, სამედიცინო კაბინეტის სამედიცინო მედიკამენტებით აღჭურვის, შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ცენტრში წარდგენა.

8. სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა, განაცხადა რომ სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 28 და 29 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2165 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2165 მოსწავლისთვის.

თამარ მიდელაშვილის განცხადებით, 1-ლი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა), 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა), ასევე შეფასებული იყო როგორც „მეტწილად“ შესაბამისი. რაც შეეხებოდა მე-2 (სასკოლო კურიკულუმი -დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტი შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ასევე ისაუბრა მოსწავლეთა მხარდაჭერაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში შემუშავებული იყო მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის პოლიტიკა, მოსწავლის საკონსულტაციო სისტემა და შინ სწავლების მოდელი. სკოლაშ ფუნქციონირებდა ხატვის წრე და საცურაო აუზი. სკოლა, ასევე აქტიურად, თანამშრომლობდა სსიპ კოლეჯ „სპექტრთან“. ექსპერტის განცხადებით სკოლაში ფუნქციონირებდა 9 კლუბი: დებატების კლუბი, პატარა მკითხველთა კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი ,,მაძიებელი“, მკითხველთა კლუბი,, ,,წიგნი+ერი94“, კლუბი ,,ციფრული სამყარო“, „მშობელთა კლუბი“, „94-ე სკოლა და მშობლები“, ქართული ენის სიწმინდის დაცვის კლუბი ,,ლაზარე“, „გოეთეს კლუბი“, მათემატიკის კლუბი ,,უსასრულობა“ და მედიაკლუბი ,,თანამგზავრი-TV94”.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას ვებ -გვერდი. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განაცხადა, რომ სკოლას უკვე ჰქონდა ვებ -გვერდი, რომელიც ფუნქციონირებდა გამართულად .

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მეათე კლასის საქართველოს ისტორიის კურიკულუმებში აღნიშნული თემები არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ შეუძლებელი იყო აღნიშნული თემების, როგორიცაა ბიზანტიისა და რომის დაპირისპირების დაკავშირება საქართველოს ისტორიასთან. საბჭოს თავმჯდომარემ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა, რამ გამოიწვია აღნიშნული ფაქტი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნიკა უთალიშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ მოცემული ფაქტი ახსნა ტექნიკური ხარვეზით, შემდეგ მათ გამოასწორეს და გადმოაგზავნეს განახლებული კურიკულუმები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, როდის მიმართა სკოლამ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის თაობაზე და ჰქონდა თუ არა სკოლას მოპოვებული უკვე აღნიშნული დასკვნა.
სკოლის დირექტორმა, ნინო გახარიამ აღნიშნა, რომ სკოლისგან შენობის მდგრადობის დასკვნის მოპოვების მოთხოვნა გაიგზავნა სექტემბერში და დასკვნა ამ დროისთვის უკვე მიღებული ჰქონდათ, სადაც აღნიშნული იყო რომ სკოლა უსაფრთხო იყო ექსპლუატაციისთვის, თუმცა გარკვეული დეტალები, რომელიც ცვეთისგან იყო გამოწვეული, საჭიროებდა რეაბილიტაციას, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ უკვე მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის დირექტორს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის შეფასების განსხვავებულ მოდელზე, რომელიც სკოლამ უკვე შეათანხმა განათლების სამინისტროსთან.
სკოლის დირექტორმა, ნინო გახარიამ აღნიშნა, რომ სკოლაში არ იწერებოდა განმსაზღვრელი შეფასება საკლასო, საშინაო და შემაჯამებელ კომპონენტებში, მოსწავლეები განმსაზღვრელ შეფასებას იღებდნენ მხოლოდ თემის ბოლოს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, რა დადებითი შედეგი გამოიღო სკოლისთვის აღნიშნულმა მოდელმა.
სკოლის დირექტორის მოადგილე, ეკა სიმსივემ განაცხადა, რომ პროცესი გახდა უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული, კერძოდ გაიზარდა აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა სკოლას ჰქონდა თუ არა გაწერილი მოცემული მოდელი შეფასების რუბრიკაში. სკოლის დირექტორმა აღნიშნული საკითხი დაადასტურა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2165-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად,სსიპ - ჯამბულ წურწუმიას სახელობის ქალაქ თბილისის №94 საჯარო სკოლას(ს/კ: 208142794) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2165- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმ ანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმა ნათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ბ.ჭიჭინაძის ქუჩა N 15/ა

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, თანამშრომელთა ნასამართლობის, სქესობრივი დანაშაულისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების, შენობის საევაკუაციო გეგმით განსაზღვრული რაოდენობის ცეცხლმაქრებით, პანდუსით/ლიფტით აღჭურვის და სველი წერტილების ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.

9. სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამთა კობახიძემ. ექსპერტმა, განაცხადა რომ სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 29 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ა. გრიბოედოვის N35-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2200 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა აღნიშნული მოსწავლეთა რაოდენობის მიღებას, თუ სწავლებას განახორციელებდა ცვლებში და შესრულდებოდა დამატებითი შენობის აშენებასთან დაკავშირებული პირობა.

თამთა კობახიძის განცხადებით, 1-ლი სტანდარტი (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“', მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.1(პერსონალის მართვა), 3.4(ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა), ასევე შეფასებული იყო როგორც „მეტწილად“ შესაბამისი. რაც შეეხებოდა მე-2 (სასკოლო კურიკულ უმი) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტი შეაფასა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა განემარტა, ვინაიდან იგი იყო ახლად არჩეული დირექტორი, ემთხვეოდა თუ არა მისი ხედვა სკოლის მიერ უკვე ჩამოყალიბებულ ფილოსოფიას.

სკოლის დირექტორმა, ქეთევან გვარჯელაძე გორგოშაძემ აღნიშნა, რომ უკვე ჩამოყალიბებული ფილოსოფია მოიცავდა ისეთ თემებსა და საკითხებს, რომელიც აუცილებელი იყო ყველა სკოლისთვის, თუმცა ასევე განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო პერიოდულად ცვლილებების შეტანა.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა შეეძლო თუ არა სკოლას შესაბამისი მომსახურების გაწევა 2200 მოსწავლისთვის, რაზეც ექსპერტმა განაცხადა რომ სკოლაში ამჟამად სწავლობდა 2139 მოსწავლე ორ ცვლაში და ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი რესურსით, თუმცა ექსპერტის განცხადებით სკოლა ასევე ორ ცვლაში, არსებული რესურსით სრულყოფილად შეძლებდა შესაბამისი მომსახურების გაწევას მხოლოდ 2150 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429317) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2150- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, ა.გრიბოედოვის #35

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის დეკემბრამდე, კერძოდ, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების, შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმია, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ცენტრში.

10. სსიპ - სულხან - საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სოფიკო ბოქოლიშვილმა. ექსპერტმა, განაცხადა რომ სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N121-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1210 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1210 მოსწავლისთვის.
სოფიკო ბოქოლიშვილის განცხადებით, 1-ლი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდამჭერა) სტანდარტი და კომპონენტები 3.1 (პერსონალის მართვა); 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3,5 (მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა) შეფასებული იყო „მეტწილად შესაბამისად“ რაც შეეხებოდა მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფმა სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ასევე შეაფასა „მეტწილად“ შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები და რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა ასევე გააზიარა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა, აღნიშნა რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო ლიფტი, თუმცა არ მუშაობდა და ისაუბრა მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებებზე, კერძოდ სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შექმნილი იყო კლუბები : ეკოკომიტეტი, ეკოკლუბი, GREENLAB, ნორჩი ნატურალისტები, STEAM კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, წიგნის კლუბი და თეატრალური კლუბი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა ინკლუზიური გარემოთი და სკოლის დირექტორს სთხოვა დაეზუსტებინა, რამდენი ხანი არ მუშაობდა ლიფტი და რა იყო ამის მიზეზი.
სკოლის დირექტორმა, ირმა წაქაძემ აღნიშნა, შენობას რეაბილიტაცია უტარდებოდა 2 წლის განმავლობაში და მისი ჩაბარება მოხდა ამჟამინდელი მდგომარეობით, მას შემდეგ კი რაც სკოლამ მიმართა შესაბამის ორგანოებს, მოხდა ლიფტის შეკეთება და ხარვეზის გამოსწორება.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ლიფტი მწყობრიდან გამოსული იყო 11 თვის განმავლობაში.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა სკოლას, რომ გადაეხედათ ბრძანებებისთვის, ვინაიდან ისინი შეიცავდა გარკვეული ტიპის ხარვეზებს, კერძოდ ბრძანებების საფუძვლებში მითითებული იყო მინისტრის მიერ გამოცემული ძალადაკარგული ბრძანება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, სკოლის დირექტორს სთხოვა დაეზუსტებინა ვის მიერ განხორციელდა და როდის დასრულდა სკოლის რეაბილიტაცია .
სკოლის დირექტორმა, ირმა წაქაძემ აღნიშნა რომ სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2022 წლის აგვისტოს.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, სკოლის დირექტორს სთხოვა დაეზუსტებინა რა მექანიზმი არსებობდა სკოლაში მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორმა, აღნიშნა რომ სასწავლო პროცესის დასაწყისში ხდებოდა კლასის დამრიგებლების გასაუბრება მშობლებთან და მათთან იდებოდა ხელშეკრულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯომარემ, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისგან ითხოვა მეტი დეტალის წარმოდგენა თემატურ მატრიცებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისა და კურიკულუმების შესახებ, რაზეც ექსპერტმა დავით ბოლქვაძემ განმარტა რომ კომპლექსური დავალებები არ იყო შემუშავებული სკოლის მიერ და წარმოადენდა ახალი სკოლის მოდელში ჩართული სკოლების თანამშრობლობის შედეგად შექმნილ დოკუმენტს, თუმცა ისინი ირჩევდნენ და მოდიფიცირებას უკეთებდნენ აღნიშნულ დავალებებს.
საბჭოს წევრმა თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის სასკოლო კლუბ „ეკოკომიტეტის“ შესახებ.
სკოლის დირექტორმა, ირმა წაქაძემ, აღნიშნა რომ სკოლა იყო გაწევრიანებული ეკოსკოლების პროექტში, რომლის ფარგლებშიც შექმნილი იყო კლუბი და ეწეოდა აქტიურ მუშაობას. სკოლის დირექტორმა ასევე დამატებით აღნიშნა ნორჩი ნატურალისტების მუშაობის შესახებ და განაცხადა, რომ მათი საქმიანობა გავიდა საერთაშორისო ასპარეზზე და პროექტის ფარგლებში მოსწავლეები იმყოფებოდნენ სამეცნიერო პიკნიკზე, ქალაქ ვარშავაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თვმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1210-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

საბჭოს ორმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ვერიფიკაციის მექანიზმი და ადაპტირებული გარემო. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი მხარს არ უჭერდნენ სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 225361202) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1210- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. 121

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) მესამე და მეოთხე სტანდარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 21:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა